აჭარის ელექტროკავშირი
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
საქართველო, 6010 ბათუმი, მ. აბაშიძის გამზ. 33
33 M. Abashidze ave., 6010 Batumi, Georgia
Tel.: 995 222 7 22 00 Fax: 995 222 7 44 44

№ 579/7

31 08 2009

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული

კომისიის თავმჯდომარეს ბ-ნ ირაკლი ჩიქოვანს

ბატონო ირაკლი,

გიგზავნით საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2009 წლის 31 ივლისის №359/9 გადაწყვეტილების შესაბამისად შეცვლილ საკუთარი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყება/დასრულების) მომსახურების შეთავაზების წინადადებას, აგრეთვე სპილენძის საბონენტო სახაზო-საკაბელო წყვილების ფართოზოლოვან რესურსთან დაშვების შეთავაზების წინადადებას.

გთხოვთ გამოაქვეყნოთ მოცემული ინფორმაცია კომისიის ვებ გვერდზე.

პატივისცემით

დიმიტრი ჩხოლარია
დირექტორი

6/2347-03

შპს „აჭარის ელექტროკავშირის"

# სპილენძის სააბონენტო სახაზო-საკაბელო წყვილების ფართოზოლოვან რესურსთან დაშვების შეთავაზების წინადადება

(მოწვევის ოფერტა)

წინამდებარე დოკუმენტით განსაზღვრულია შპს "აჭარის ელექტროკავშირის" სპილენძის სააბონენტო სახაზო-საკაბელო წყვილების ფართოზოლოვან ქსელთან დაშვების შეთავაზების პირობები, რომლებიც ვრცელდება ყველა ავტორიზირებულ პირზე და მიღებულია ინფორმაციის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის ვალდებულების შესრულების მიზნით.

სახაზო-საკაბელო სააბონენტო წყვილის ფართოზოლოვან ქსელთან დაშვება ხორციელდება შემდეგი პირობებით:

1. შპს "აჭარის ელექტროკავშირს" სახაზო-საკაბელო სააბონენტო წყვილის ფართოზოლოვან ქსელთან დაშვების სპეციალური ვალდებულება დაკისრებული აქვს შემდეგ გეოგრაფიულ სეგმენტებზე:

აჭარის არ ადგილობრივი მომსახურების ზონა.

1.1. აჭარის არ გეოგრაფიულ სეგმენტზე სპილენძის სახაზო-საკაბელო წყვილების ფართოზოლოვანი ქსელის სრული და დატვირთული სიმძლავრეები:

| კროსის მისამართი | სულ | თავისუფალი | დატვირთული |
|---|---|---|---|
| | | | |
| ქ. ბათუმი, 26 მაისის 47 – ატს 2/7 | 17600 | 13538 | 4062 |
| ქ. ბათუმი, ტბელის 10 – ატს-5 (ბნზ. თამარის დასახლება) | 3200 | 2676 | 524 |
| ქ. ბათუმი, ნინოშვილის 20 – ატს-5 (ბარცხანა) | 2800 | 2171 | 629 |
| ქ. ბათუმი, თამარ მეფის 4 – ატს-5 (ხელვაჩაური) | 1900 | 1610 | 290 |
| ქ. ბათუმი, ხიმშიაშვილის 27ბ– ატს-4 | 3500 | 2944 | 556 |
| ქ. ბათუმი, ლერმონტოვის 107 – ატს-4 | 3400 | 2719 | 681 |
| ქ. ბათუმი, აღმაშენებლის 22 – ატს-4 | 3800 | 3255 | 545 |
| ქ. ქობულეთი, აღმაშენებლის 135 – ატს-6 | 4000 | 3395 | 605 |
| ქედა, ჭავჭავაძის ქ.№4 | 1350 | 1350 | |
| შუახევი, რუსთაველის ქ.№14 | 1210 | 1210 | |
| ხულო, ტბელ აბუსერიძის ქ.№7 | 1950 | 1950 | |
| სულ | 44710 | 36818 | 7892 |

- *შენიშვნა: თუ წინამდებარე ცხრილში მოცემული მონაცემები და ფაქტობრივი მდგომარეობა განსხვავდება ერთმანეთისგან, ასეთ შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება ფაქტობრივ მდგომარეობას. აღნიშნული მონაცემები ექვემდებარება ცვლილებას.*

2.1 აჭარის არ გეოგრაფიულ სეგმენტებზე ადგილობრივი დაშვების თავისუფალი თანალოკაციის ფართი (კვ.მ.)

| სადგურის მისამართი | ლოკაციის მდებარეობა | თავისუფალი ფართი | დაკავებული ფართი, $მ^2$ |
|---|---|---|---|
| ბათუმი | | | |
| "HUAVEY"ცენტრალური სადგური(26 მაისის ქ.№47) | გარე ოპერატორებისათვის გამოყოფილ ფართში | - | 26 |
| გატანილი მოდული (ლერმონტოვის ქ.№ 107) | სასადგურო ოთახი | 2 | 32 |
| გატანილი მოდული (აღმაშენებლის ქ.№ 22) | სასადგურო ოთახი | - | 21 |
| გატანილი მოდული (ხიმშიაშვილის ქ.№ 27ა) | სასადგურო ოთახი | - | 27 |
| გატანილი მოდული (ტბელის ქ.№10) | სასადგურო ოთახი | 2 | 27 |
| გატანილი მოდული (ნინოშვილის ქ. №20) | სასადგურო ოთახი | - | 19 |
| გატანილი მოდული (ხელვაჩაური,თამარ მეფის ქ. № 4) | სასადგურო ოთახი | 4 | 12 |
| ქობულეთი | | | |
| "HUAVEY" | სასადგურო ოთახი | 5 | 43 |
| ქედა | | | |
| "HUAVEY" | სასადგურო ოთახი | 4 | 20 |
| შუახევი | | | |
| "HUAVEY" | სასადგურო ოთახი | 4 | 20 |
| ხულო | | | |
| "HUAVEY" | სასადგურო ოთახი | 4 | 24 |

- *შენიშვნა: თუ წინამდებარე ცხრილში მოცემული მონაცემები და ფაქტობრივი მდგომარეობა განსხვავდება ერთმანეთისგან, ასეთ შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება ფაქტობრივ მდგომარეობას. აღნიშნული მონაცემები ექვემდებარება ცვლილებას.*

2.3. . სახაზო-საკაბელო სატრანზიტო წყვილის ფართოზოლოვან რესურსთან დაშვების მომსახურებისათვის თანალოკაციის ფართთან დაშვების პირობები დადგენილია დანართით №1 (აჭარის ელექტროკავშირის ბრძანება №37თვ 29.05.2008 და ბრძანება №74 თვ 27.08.2009 ). საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2009 წლის 31 ივლისის №359/9 გადაწყვეტილებით განსაზღვრულ თანალოკაციის ფართთან დაშვების ტარიფები განისაზღვრის ამავე გადაწყვეტილების №1 დანართის შესაბამისად. ზემო აღნიშნული მომსახურების შესახებ ავტორიზებული პირის განცხადებას კომპანია განიხილავს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი დავალიანება კომპანიის მიმართ არ აღემატება 1 000 ლარს.

3. სასაზო-საკაბელო სააბონენტო წყვილის ფართოზოლოვან რესურსთან დაშვება ხორციელდება შემდეგი ტარიფებით:

| დაშვების სახე | დაშვების ტარიფი | საანგარიშსწორებო პერიოდი |
|---|---|---|
| წყვილის ფართოზოლოვან რესურსთან დაშვება, იქ სადაც წყვილის ხმოვანი რესურსით მომსახურებას ახორციელებს აჭარის ელექტროკავშირი | 11.68 ლარი | ერთი თვე |
| წყვილის ხმოვან და ფართოზოლოვან რესურსთან ერთობლივი დაშვება | 3.5+11.68=15.18 ლარი | ერთი თვე |

3.1. ერთი ნარნის განთავსება – 30 ლარი თვეში.

3.2. რესურსთან დაშვების (საინსტალაციო) ერთჯერადი ტარიფი 7 ლარი

3.3. რესურსთან დაშვების შეწყვეტის (დეინსტალაციის) ერთჯერადი ტარიფი 3.5 ლარი

- მოცემული ტარიფები შეიცავს დამატებითი ღირებულების გადასახადს.

4. მხარეებს შორის ანგარიშსწორება წარმოებს ყოველთვიურად. ანგარიშსწორება მხარეთა შორის ხორციელდება შემოსავლების შესახებ საოქმო გადაწყვეტილების საფუძველზე სრული მოცულობით, არაუგვიანეს საანგარიშსწორებო თვის მომდევნო თვის 25 რიცხვამდე. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს წინააღმდეგობა მხარეების მიერ წარმოდგენილ მონაცემებს შორის, ანგარიშსწორება იწარმოებს შპს "აჭარის ელექტროკავშირის" მიერ მხარისადმი წარდგენილი შემოსავლების შესახებ საოქმო გადაწყვეტილებაში დაფიქსირებული თანხების ოდენობით, ხოლო სადაო ნაწილზე წარდგენილ იქნება გადაანგარიშების მოთხოვნა სათანადო დასაბუთებითა და შესაბამისი მტკიცებულებებით. თუ მხარეები 10 სამუშაო დღის ვადაში ვერ შეთანხმდებიან საპრეტენზიო ნაწილზე, დავა განხილული და გადაწყვეტილი იქნება საქართველოში არსებული მუდმივმოქმედი კერძო არბიტრაჟის მეშვეობით.

4.1. ტარიფების ცვლილების შემთხვევაში, ანგარიშსწორება იწარმოებს შეცვლილი ტარიფებით, რის შესახებაც მხარეები ერთმანეთს აცნობებენ წერილობით მაქსიმუმ 15 კალენდარული დღის განმავლობაში.

5. შპს "აჭარის ელექტროკავშირის" სპილენძის საბთინენტო სახაზო-საკაბელო წყვილების ფართოზოლოვან რესურსთან დაშვების ოფერტაზე თანხმობის მიღებისა და ხელშეკრულების გაფორმების პროცედურა:

5.1. განმცხადებელი ვალდებულია წარმოადგინოს:

ა) ავტორიზაციის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ბ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

გ) წერილობითი განცხადება, სადაც ნათლად იქნება დაფიქსირებული, რომ განმცხადებელს სურს მიიღოს შპს "აჭარის ელექტროკავშირისაგან" სპილენძის საბთინენტო სახაზო-საკაბელო წყვილების ფართოზოლოვან რესურსთან დაშვების მომსახურება;

დ) წერილობით განცხადებაში დაფიქსირებული უნდა იყოს განმცხადებლის დასტური რომ იგი გაცნობილია, ეთანხმება და უპირობოდ შეასრულებს ოფერტაში დაფიქსირებულ ყველა პირობას;

5.2. შპს "აჭარის ელექტროკავშირის" სპილენძის საბთინენტო სახაზო-საკაბელო წყვილების ფართოზოლოვან რესურსთან დაშვება ხორციელდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც შპს "აჭარის ელექტროკავშირსა" და განმცხადებელს შორის ამ მომსახურებაზე გაფორმებული იქნება შესაბამისი ხელშეკრულება. შპს "აჭარის ელექტროკავშირი" სპილენძის საბთინენტო სახაზო-საკაბელო წყვილების ფართოზოლოვან რესურსთან დაშვებაზე ავტორიზებული პირის განცხადებას განიხილავს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი დავალიანება კომპანიის მიმართ არ აღემატება 1 000 ლარს. სპილენძის საბთინენტო სახაზო-საკაბელო წყვილების ფართოზოლოვან რესურსთან დაშვების განცხადების მიღებისა და განხილვის პროცედურა აღწერილია ცალკე მუხლ 6-ში;

5.3. განმცხადებლის მიმართვიდან 10 სამუშაო დღეში შპს "აჭარის ელექტროკავშირი" შეისწავლის აკმაყოფილებს თუ არა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და წერილობითი განცხადება 5.1 მუხლში დაფიქსირებულ მოთხოვნებს;

5.4. განმცხადებლის მიმართვიდან 10 სამუშაო დღეში შპს "აჭარის ელექტროკავშირი" წერილობით აცნობებს განმცხადებელს აკმაყოფილებს თუ არა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და წერილობითი განცხადება 5.1 მუხლში დაფიქსირებულ მოთხოვნებს. დადებითი პასუხის შემთხვევაში აქცეპტი მიღებულად ითვლება წერილობითი პასუხის გაცემის თარიღიდან, ხოლო უარყოფითი პასუხის შემთხვევაში ჩაითვლება რომ განმცხადებლის მიერ აქცეპტი არ გაკეთებულა;

5.5. 5.4 მუხლის მიხედვით დადებითი პასუხის შემთხვევაში შპს "აჭარის ელექტროკავშირი" ვალდებულია აქცეპტის მიღებიდან 20 კალენდარული დღის ვადაში გაუგზავნოს აქცეპტანტს მის მიერ ხელმოწერილი სპილენძის საბთინენტო სახაზო-საკაბელო

წყვილების ვართოთხოლოვან რესურსთან დაშვების ხელშეკრულება.

5.6. აქცეპტანტი ვალდებულია 4 კალენდარული დღის ვადაში მის მიერ ხელმოწერილი ხელშეკრულება უკან დაუბრუნოს შპს "აჭარის ელექტროკავშირს". თუ ამ ვადაში ხელმოწერილი ხელშეკრულება არ იქნება დაბრუნებული, ითვლება რომ აქცეპტანტი უარს აცხადებს ოფერტაზე და შპს "აჭარის ელექტროკავშირი" უფლებას იტოვებს დაუყოვნებლივ შეწყვიტოს ოფერტაზე უარის მთქმელ პირთან ფაქტობრივი ურთიერთობები და ჩაითვლება, რომ შპს "აჭარის ელექტროკავშირს" აქცეპტანტთან არანაირი სამართლებლივი ურთიერთობა არ აკავშირებს.

6. შპს "აჭარის ელექტროკავშირის" ხპილენძის საბონენტო სახაზო-საკაბელო წყვილების ვართოთხოლოვან რესურსთან დაშვების პროცედურები რეგულირდება №3 დანართით.

7. შპს "აჭარის ელექტროკავშირის" ხპილენძის საბონენტო სახაზო-საკაბელო წყვილების ვართოთხოლოვან რესურსთან დაშვების მომსახურების მიწოდების ექსტრაორდინალურ და ფორსმაჟორულ შემთხვევებთან დაკავშირებული პირობები:

7.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან მათ მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის დაუძლეველი ძალის მოქმედების შემთხვევაში, რომლის დროსაც შეუძლებელია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება.

7.2. „დაუძლეველი ძალის" ქვეშ იგულისხმება გარემოებები, რომლებიც არ არსებობენ ხელშეკრულების დადების დროს და რომელთა დადგომა თუ ზემოქმედება მხარეებს არ შეეძლოათ თავიდან აეცილებინათ და გადაელახათ.

7.3. დაუძლეველი ძალის გარემოებებს მიეკუთვნება სტიქიური უბედურებები (წყალდიდობა, მიწისძვრა, ხანძარი და სხვა) ომიანობები (მათ შორის ტერორისტული თუ დივერსიული აქტები). სამარი მოქმედებები (მათ შორის სამოქალაქო არეულობები და გაფიცვები), ხელისუფლების ისეთი აქტები, რაც არსებითად აფერხებს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და სხვა.

7.4. თუ ზემოხსენებულმა გარემოებებმა უშუალოდ იმოქმედეს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შერულების ვადებზე, მაშინ ეს ვადები ამ გარემოებების მოქმედების დროს თანაბარზომიერად გაიზრდება. მხარემ, რომლისათვისაც ფორსმაჟორული გარემოებების დადგომის გამო შეუძლებელი გახდა ვალდებულებების შესრულება, ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არა უგვიანეს 7 (შვიდი) დღისა ამ გარემოებების დადგომიდან ან დასრულებიდან, შეატყობინოს მეორე მხარეს წერილობით. შეუტყობინებლობის, ან დაგვიანებით შეტყობინების შემთხვევაში მხარე კარგავს უფლებას დაეყრდნოს ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობას, როგორც პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველს.

8. შპს "აჭარის ელექტროკავშირის" სპილენძის სააბონენტო სახაზო-საკაბელო წყვილების ფართოზოლოვან რესურსთან დაშვების მომსახურების მიწოდების შესაბამისი ხელშეკრულებების შეწყვეტის პირობები:
8.1. შეწყვეტა ხორციელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესითა და საფუძვლებით.

9. შპს "აჭარის ელექტროკავშირის" სპილენძის სააბონენტო სახაზო-საკაბელო წყვილების ფართოზოლოვან რესურსთან დაშვების მომსახურების მიწოდების შესაბამისი ხელშეკრულებებიდან გამომდინარე დავების განხილვის წესი:
9.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი ქონებრივი დავა განხილული და გადაწყვეტილი იქნება საქართველოში არსებული მუდმივმოქმედი კერძო არბიტრაჟის მიერ. დავას განიხილავს ერთი არბიტრისაგან შემდგარი არბიტრაჟი, რომელსაც დანიშნავს მუდმივმოქმედი არბიტრაჟი. დავას განიხილავს და გადაწყვეტს ის არბიტრაჟი, რომელიც კონკრეტულად მითითებული იქნება ხელშეკრულებაში შპს "აჭარის ელექტროკავშირის" მიერ.

წინამდებარე ოფერტა მოქმედებს გამოქვეყნებიდან 6 თვის ვადით.

დირექტორი დიმიტრი ჩხოლარია

# დანართი №3

## შპს "აჭარის ელექტროკავშირის" სპილენძის სააბონენტო სახაზო-საკაბელო წყვილების ფართოზოლოვან რესურსთან დაშვების

## პ რ ო ც ე დ უ რ ა

რესურსთან დაშვების (დსლ-ის ჩართვის) პროცედურა:

| ეტაპი 1 – განაცხადის მიღება | |
|---|---|
| პერიოდულობა: | კვირაში ერთხელ |
| ვადები: | კვირა 23:59-მდე |
| ფორმა: | წერილობითი და E-mail |
| აღწერა: | კვირაში ერთხელ ავტორიზებული პირი დადგენილი ფორმით აჭარის ელექტროკავშირს უგზავნის შევსებულ სპეციალურ ცხრილს (იხილეთ დანართი 3.1), სადაც მოცემულია ავტორიზებული პირის აპარატურაზე გადასართავი აჭარის ელექტროკავშირის აბონენტის მონაცემები. მონაცემების მინიმალური ჩამონათვალია: ტელეფონის ნომერი, სახელი და გვარი, მისამართი, ე.წ. "ლინკის" ანუ გადასართავი წყვილის ნომერი, საკონტაქტო პირის მონაცემები; |
| მოთხოვნის მოცულობა: | არაუმეტეს 150 ტელეფონის ნომრისა |
| ავტორიზებულმა პირმა უნდა დაიცვას შემდეგი მოთხოვნები: | • ავტორიზებული პირის განცხადება განხილვას არ ექვემდებარება, თუ არ იქნება დაცული ყველა ზემოთ აღნიშნული მოთხოვნა. |

| ეტაპი 2 – განაცხადის განხილვა | |
|---|---|
| აღწერა: | აჭარის ელექტროკავშირი განაცხადის მიღების შემდეგ კომპანიის შიდა პროცედურის მიხედვით განიხილავს ავტორიზებული პირის განაცხადს. განაცხადის თითოეული პუნქტი (გადასართავი ტელეფონის ნომერი) კმაყოფილდება ყველა შემდეგი პირობების არსებობის შემთხვევაში. თუ:<br>• განაცხადში დაფიქსირებული ტელეფონის ნომერი, სახელი და გვარი, მისამართი შეესაბამება ბილინგის ჩანაწერებს;<br>• ავტორიზებული პირის აპარატურაზე მოთხოვნილი პირობების დაცვით აბონენტის წყვილის გადართვა ტექნიკურად შესაძლებელია;<br>• მოთხოვნილი ფართოზოლოვანი რესურსი არ არის გამოყენებული სხვა ავტორიზებული პირის მიერ და არ არის ამ რესურზე გაკეთებული შესაბამისი მოთხოვნა;<br>• წყვილის ტექნიკური მახასიათებლები იძლევა მისი ფართოზოლოვანი რესურსის გამოყენების საშუალებას. |

| ეტაპი 3 – ინფორმაციის მიწოდება გადართვის შესახებ | |
|---|---|
| პერიოდულობა: | კვირაში ერთხელ |
| ვადები: | შაბათი 23:59-მდე |
| ფორმა: | E-mail |
| აღწერა: | აჭარის ელექტროკავშირი განაცხადის მიღებიდან მაქსიმუმ 20 დღეში ავტორიზირებულ პირს უგზავნის შევსებულ სპეციალურ ცხრილს (იხილეთ დანართი 3.1), სადაც თითოეულ დსლ-ზე გადასართავ ნომერზე მითითებული იქნება შემდეგი მონაცემები: ავტორიზებული პირის განცხადებაში დაფიქსირებული მონაცემების შესაბამისობა ბილინგის ჩანაწერებთან, ტექნიკური შესაძლებლობის არსებობა, გადართვის სტატუსი და გადართვის თარიღი. |

## დსლ-ის მოხსნის პროცედურა

| ეტაპი 1 – განაცხადის მიღება | |
|---|---|
| პერიოდულობა: | კვირაში 5-ჯერ |
| ვადები: | ორშაბათი 08:30-მდე; სამშაბათი 08:30-მდე; ოთხშაბათი 08:30-მდე; ხუთშაბათი 08:30-მდე; პარასკევი 08:30-მდე; |
| ფორმა: | წერილობითი და E-mail |
| აღწერა: | ყოველ სამუშაო დღეს ინტერნეტ პროვაიდერი აჭარის ელექტროკავშირს E-mail-ის საშუალებით უგზავნის სპეციალურ ცხრილს (დანართი 3.1-ის ანალოგიური), სადაც მოცემულია ტელეფონის ნომრები, რომლებზეც უნდა განხორციელდეს ტელეფონის მოხსნა. |

| ეტაპი 2 – მოხსნა | |
|---|---|
| პერიოდულობა: | ყოველ დღე |
| ვადები: | მოხსნის შესახებ განაცხადის მიღებიდან მაქსიმუმ 20 დღეში |
| ფორმა: | - |
| აღწერა: | განაცხადის მიღებიდან მაქსიმუმ 20 დღის ვადაში, აჭარის ელექტროკავშირი ახორციელებს დსლ-ის მოხსნას მითითებულ ნომრებზე. |

| ეტაპი 3 – ინფორმაციის მიწოდება | |
|---|---|
| პერიოდულობა: | კვირაში ერთხელ |
| ვადები: | შაბათი 23:59-მდე |
| ფორმა: | E-mail |
| აღწერა: | კვირაში ერთხელ, აჭარის ელექტროკავშირი უგზავნის ავტორიზირებულ პირს სპეციალურ ცხრილს, სადაც მოცემულია მოთხოვნილი მოხსნების სტატუსი და მოხსნის თარიღი. |

## ურთიერთშედარების პროცედურა

აჭარის ელექტროკავშირის მოთხოვნის შემთხვევაში, თვეში ერთხელ (შემდეგი თვის 5 რიცხვამდე) ავტორიზებულ პირსა და აჭარის ელექტროკავშირს შორის დგება მიღება-ჩაბარების აქტი, სადაც მოცემულია ინფორმაცია თვის განმავლობაში თარიღების მიხედვით დსლ-ზე გადართული და დსლ-დან მოხსნილი ნომრების სია და თვის ბოლო დღის მდგომარეობით ინტერნეტ პროვაიდერის ქსელში ჩართული აჭარის ელექტროკავშირის აბონენტების ჯამური რაოდენობა.

ურთიერთშედარების ზუსტი პროცედურა მოგვიანებით ჩამოყალიბდება.

## საკონტაქტო პირი

აჭარის ელექტროკავშირის მხრიდან პასუხისმგებელი ერთეული დსლ-თან დაკავშირებულ პროცესებზე არის სახელშეკრულებო-ანგარიშსწორების სამსახურის უფროსი

**საკონტაქტო პირი**
ნუგზარ ნაკაშიძე
ტელეფონის ნომერი – 877409466; 88822272205
E-mail: el_kavshiri@mail.ru;
E-mail შეტყობინებების მიმღები ძირითადი მისამართია el_kavshiri@mail.ru;

მეორადი მისამართი nnakashidze@mail.ru

## დანართი 3.1 (დსლ-ის ჩართვა)

| | |
|---|---|
| ოპერატორის სახელი | |
| განაცხადის თარიღი | |
| საკონტაქტო პირი | |
| საკონტაქტო პირის ტელეფონის ნ | |

| | |
|---|---|
| | ოპერატორის შესავსები ნაწილი |
| | შპს "აჭარის ელექტროკავშირის" შესავსები |

| # | აბონენტის მონაცემები | | | | აბონენტის მონაცემების შესაბამისობა | ტექნიკური შესაძლებლობა | ლინკის ნომერი | დსლ-ის ჩართვის სტატუსი | ჩართვის თარიღი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ტელეფონი | სახელი და გვარი | მისამართი | რეგიონი/ატს | | | | | |
| 1 | | | | | | | | | |
| 2 | | | | | | | | | |
| 3 | | | | | | | | | |
| 4 | | | | | | | | | |
| 5 | | | | | | | | | |
| 6 | | | | | | | | | |
| 7 | | | | | | | | | |
| 8 | | | | | | | | | |
| 9 | | | | | | | | | |
| 10 | | | | | | | | | |
| 11 | | | | | | | | | |
| 12 | | | | | | | | | |
| 13 | | | | | | | | | |
| 14 | | | | | | | | | |
| 15 | | | | | | | | | |
| 16 | | | | | | | | | |
| 17 | | | | | | | | | |
| 18 | | | | | | | | | |
| 19 | | | | | | | | | |
| 20 | | | | | | | | | |
| 21 | | | | | | | | | |